ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ „სათნოების სახლში“ განხორციელებული ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმების

აუდიტორული ანგარიში

(01.01.2019 – 01.01.2022 წწ)

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

აგვისტო 2022 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....3

ა. ზოგადი ნაწილი.....3

ბ. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....3

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები 4

ა. ა(ა)იპ „სათნოების სახლის" ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი 4

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი.....5

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშების და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი 6

3. ძირითადი რისკები 8

4. რეკომენდაციები 8

ხელმოწერები.....9

პასუხისმგებელი პირი.....9

1. შესავალი.

ა. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ „სათნოების სახლი".

აუდიტის პერიოდი - 2019 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 იანვრამდე პერიოდი.

აუდიტის ჩატარების ვადა - 08.08.2022 – 02.09.2022 წ.

შიდა აუდიტის ამოცანა: 2019 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 იანვრამდე პერიოდში ობიექტის ფუნქციონირების შედეგად გაწეული მუშაობის შესწავლა-ანალიზი, რისკების დადგენა და მათი აღმოფხვრის მეთოდების შემუშავება. ასევე, ა(ა)იპ „სათნოების სახლის" ფულადი სახსრების ხარჯვის, დაფინანსების წყაროების, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების გამოყენების კანონიერების, ხულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება. კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტების, საკანცელარიო საქმისწარმოების, ხელშეკრულებების, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დაკომპლექტებისა და სახელფასო ფონდის ხარჯვის, მივლინებების, ქონების მიღების, აღრიცხვის, გამოყენების, დაცვისა და გაწკარგვის შესწავლა-ანალიზი. წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისა და საკადრო საქმიანობის კანონთან შესაბამისობის კონტროლი, რისკების დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა მათ აღმოსაფხვრელად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შიდა აუდიტორებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე. ანგარიშში ძირითადად ასახულია ის შენიშვნები, ხარვეზები და რისკები, რომლებიც გამოიკვეთა ობიექტის შემოწმებისას.

ბ. შესამოწმებელ პერიოდში ა(ა)იპ „სათნოების სახლის" საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

ა(ა)იპ „სათნოების სახლი" დაფუძნებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 03 აგვისტოს №159 ბრძანების საფუძველზე და მოქმედებს თავისი წესდების შესაბამისად.

მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი და შტამპი საკუთარი დასახელებით და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი რეკვიზიტები. მისი მისამართია: დ. ხარაგაული 9 აპრილის ქ. №5. ელფოსტა: satnoebissaxli2016@gmail.com; საიდენტიფიკაციო ნომერი: 243574315. ტელეფონი (0433) 22 11 82.

ობიექტის მიზნები და ამოცანებია: უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მიუსაფარ ადამიანებზე ზრუნვა, დაინტერესება მათი ყოფითი პირობების გაუმჯობესებით.

„სათნოების სახლი" უფლებამოსილია:

მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების საფუძველზე განკარგოს მასზე რიცხული ფინანსური სახსრები აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის გამოსაკვებად.

აღრიცხოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მიუსაფარი ადამიანები.

უზრუნველყოს გამოვლენილი და აღრიცხული მიუსაფარი ადამიანების უფასოდ გამოკვება.

დაიცვას და გამოიყენოს მის მიერ შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობა ბენეფიციარების სასარგებლოდ.

ითანამშრომლოს არასამთავრობო (საერთაშორისო და ადგილობრივ) ორგანიზაციებთან, მიიღოს შემოწირულობები და უზრუნველყოს მათი გამჭვირვალედ მიტანა ბენეფიციარამდე.

იზრუნოს როგორც დაბაში, ასევე ტერიტორიულ ერთეულებში მიუსაფარი ოჯახების გამოსავლენად და გაუწიოს მათ დახმარება შესაძლებლობის ფარგლებში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის მართვას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე წიშნავს და ათავისუფლებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

ა(ა)იპ „სათნოების სახლი"-ს დირექტორად 2016 წლის პირველ იანვრს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანება №49 1700-ით დაინიშნა [redacted] დირექტორი [redacted] 2021 წლის 30 დეკემბერს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის №ბ68.2136438 ბრძანების საფუძველზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 13 იანვარს, № ბ68.68220135 ბრძანებით [redacted] დაინიშნა ა(ა)იპ „სათნოების სახლი"-ს დირექტორად.

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის, შიდა აუდიტის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის [redacted] შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების: [redacted] და [redacted] მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა" და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 სექტემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმის საფუძველზე, ა(ა)იპ „სათნოების სახლში" ჩატარდა 2019 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 იანვრამდე პერიოდის შიდა აუდიტორული შემოწმება. შემოწმებას ესწრებოდნენ და განმარტებებს იძლეოდნენ: ა(ა)იპ „სათნოების სახლის" დირექტორი [redacted] და ბუღალტერი [redacted].

წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ა. ა(ა)იპ „სათნოების სახლის" ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი

ა(ა)იპ „სათნოების სახლი" ფუნქციონირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელზე რეგისტრირებულ შენობაში, რომელიც გადაცემული აქვს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „სათნოების სახლს" ჰყავს 105 ბენეფიციარი. 2019 წელში ერთ ბენეფიციარზე გაწეული კვების ხარჯი დღეში შეადგენს 1,78 ლარს, 2020 წელს - 1,82 ლარს, 2021 წელს - 2,77 ლარს.

შესამოწმებელ პერიოდში „სათნოების სახლს" ნაწარმოები აქვს გასული და შემოსული კორესპონდენციების ჟურნალები და ბრძანებების წიგნები. ცალკეა ნაწარმოები ერთჯერადი და პერიოდული დახმარების გაცემის, ბენეფიციართა სიაში შეყვანისა და სიიდან ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბრძანების წიგნი.

ობიექტი წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს ახორციელებს ბენეფიციარების აღმოჩენით და მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევის გზით. დახმარება გაცემულია საკვები პროდუქტების სახით ერთჯერადად ან პერიოდულად, მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ასევე, ადგილზე, სასადილოში ხდება ბენეფიციარების გამოკვება. 2019-2021 წლებში ერთჯერადი დახმარებების გაცემის დროს არ არის შედგენილი მიღება ჩაბარების აქტები დახმარების მიმღებ ბენეფიციარებთან.

შესამოწმებელ პერიოდში არ არის დაწერილი ბრძანებები თანამშრომლების შვებულებიდან დაბრუნების შესახებ.

ა(ა)იპ „სათნოების სახლი"-ს წესდებაში შესაცვლელია იურიდიული მისამართი, წესდება საჭიროებს განახლებას.

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „სათნოების სახლი" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2019 წლის შესყიდვების გეგმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია 46105 ლარის ოდენობით. ხელშეკრულებები დადებულია 44659 ლარის ღირებულების მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 44625 ლარის ღირებულების მომსახურება. 2020 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია 57981 ლარის ოდენობით, ხელშეკრულებები დადებულია 56476 ლარის ღირებულების მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 56414 ლარის ღირებულების მომსახურება. 2021 წლის შესყიდვების გეგმა ატვირთულია 54965 ლარის ოდენობით, ხელშეკრულებები დადებულია 65238 ლარის ღირებულების მომსახურებაზე, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 64817 ლარის ღირებულების მომსახურება. გეგმასთან შედარებით ზედმეტად არის დადებული ხელშეკრულებები 10273 ლარის ოდენობით, რომელიც დაზუსტებული არ იქნა ხელშეკრულების დადებისას. 2020 წლის წლიური გეგმა დაგვიანებით არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. რის გამოც დარღვეულია საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მუხლი 9, პუნქტი 4-ი. მომდევნო წლის შესყიდვების წლიურ გეგმას შემსყიდველი ორგანიზაცია წარუდგენს სააგენტოს არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა. 2020 წელს შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული #31 ხელშეკრულება ი.მ. ვიტალი ხარაძესთან, არაა ატვირთული: #20; 26; 30 და 31 ხელშეკრულებების მიღება-ჩაბარების აქტები. 2021 წელს მხოლოდ რამდენიმე ხელშეკრულების მიღება ჩაბარების აქტია ატვირთული, 2021 წელს დადებული ხელშეკრულებების უმრავლესობას მინიჭებული აქვს მიმდინარე სტატუსი. ამ ქმედებებით დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება #12-ის მუხლი 38. პუნქტი 1. ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემის შესაბამის ველში ტვირთავს ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ასახავს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას და ანიჭებს ამ ხელშეკრულებას ხელშეკრულების შესაბამის სტატუსს („შესრულებული ხელშეკრულება").

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „სათნოების სახლში" შემოსავალი და ხარჯები ნაწარმოებია ბაზინის მეშვეობით.

ა(ა)იპ „სათნოების სახლის" ხარჯების დასაფარად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ბაზინის საშუალებით გადარიცხა: 2019 წელს 96957 ლარი, 2020 წელს 113747 ლარი და 2021 წელს 128685 ლარი.

2019 წლის 3 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ა(ა)იპ „სათნოების სახლს" დაუმტკიცდა საშტატო განრიგი 8 საშტატო ერთეულით, ხელფასის წლიური ფონდით 48600 ლარი. 2020 წლის 3 იანვარს - 8 საშტატო ერთეული ხელფასის წლიური ფონდით 55200 ლარი. 2021 წლის 3 იანვარს - 8 საშტატო ერთეული 55200 ლარი ხელფასის წლიური ფონდით, 2021 წლის პირველი მაისიდან - 8 საშტატო ერთეულით, ხელფასის წლიური ფონდი კი 56400 ლარით განისაზღვრა, 02 აგვისტოდან - 12 საშტატო ერთეული 58150 ლარი წლიური ფონდით, 01 ნოემბრიდან - 11,5 საშტატო ერთეული 57600 ლარი წლიური ფონდით.

ა(ა)იპ „სათნოების სახლს" 2019 წელს დარიცხული აქვს 9146 ლარი საშემოსავლო გადასახადი, 2020 წელს - 10105 ლარი, 2021 წელს - 10575 ლარი. დარიცხული საშემოსავლო გადასახადი სრულად გადარიცხულია ხაზინის ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე.

ა(ა)იპ „სათნოების სახლს" 2021 წელს გახარჯული საწვავი(ბენზინი) მოტო სკუტერისათვის ჩამოწერილია 3 (სამი) თანამშრომლის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე. საწვავის ჩამოწერა უნდა მოხდეს ნორმით, გარბენილი კილომეტრების შესაბამისად.

ა(ა)იპ „სათნოების სახლი"-ს შემოწმების პერიოდში შემოწმდა ობიექტის კვების პროდუქტების საწყობი, ფაქტობრივად არსებული ნაშთის ოდენობა ზოგიერთ პროდუქტებზე არ ემთხვევა ბუღალტერიაში არსებულ შესაბამის მონაცემს (მონაცემები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილ #1 -ში).

ა(ა)იპ „სათნოების სახლი" კვების პროდუქტების ნაშთები.					
			ცხრილი #1		
#	პროდუქტის დასახელება	ზ/ე	ფაქტობრივი ნაშთი	ბუღალტრული ნაშთი	მეტობა + ნაკლებობა - (კგ-ი)
			15.08.2022 წ	15.08.2022 წ	
1	შვრიის ფანტელი	ც	23	23	0
2	ნიორი	კგ	3.000	3.000	0.000
3	წიწიბურა	კგ	17.580	17.580	0.000
4	მრგვალი ბრინჯი	კგ	30.100	30.090	0.010
5	მანი	კგ	10.260	10.000	0.260
6	მარილი	კგ	23.130	23.000	0.130

7	შაქარი	კგ	48.750	48.750	0.000
8	ლობიო	კგ	58.000	56.000	2.000
9	ქიშმიში	კგ	1.821	1.800	0.021
10	მაკარონი	კგ	12.120	12.770	-0.650
11	ბრინჯი წვრილი	კგ	13.650	13.656	-0.006
12	ხახვი	კგ	29.420	28.840	0.580
13	კარტოფილი	კგ	23.990	23.800	0.190
14	ვანილი	ც	11	0	11
15	ზეთი	ლტ	8.500	8.200	0.300
16	შედედებული რძე	ც	26	26	0
17	ტომატი	კგ	7.170	7.170	0.000
18	ყველი	კგ	5.000	5.000	0.000
19	კვერცხი	ც	5	8	-3
20	დაჩა	ც	25.25	25	0.25
21	მწვანილი	კგ	4.190	4.000	0.190
22	ქათმის მკერდი	კგ	28.450	29.000	-0.550
23	ქათმის ფილე	კგ	21.040	20.900	0.140

ა(ა)იპ „სათნოების სახლში" გაწეული ხარჯები და შესაბამისი პროცენტული შემადგენლობა მთლიან ხარჯთან მიმართებაში წლების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილ №2-ში:

გაწეული ხარჯების შესახებ							
						ცხრილი #2	
№	ხარჯების დასახელება	2019 წ		2020 წ		2021 წ	
		თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%	თანხა ლარი	%
1	შრომის ანაზღაურება	49958	51.52	55200	48.53	57600	44.76
2	საკანცელარიო საქონელი	250	0.26	146	0.13	168	0.13
3	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	1170	1.21	0	0	1888	1.47
4	ოფისის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენა	1240	1.28	964	0.84	1000	0.78
5	შენობა ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი	120	0.12	120	0.11	120	0.09
6	კავშირგაბმულობის ხარჯი	1304	1.34	1212	1.07	1194	0.93
7	ელექტრო ენერგიის ხარჯი	1007	1.04	914	0.80	1568	1.22
8	წყლის ხარჯი	545	0.56	577	0.51	572	0.44
9	ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი	466	0.48	421	0.37	475	0.37
10	კვების ხარჯი	40647	41.92	53843	47.34	60714	47.18

11	სამედიცინო ხარჯი	150	0.17	0	0	0	0.00
12	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	0	0	0	0	986	0.77
13	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურეობაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	100	0.1	350	0.3	400	0.31
14	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	2000	1.55

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით. ანგარიშგება ნაწარმოებია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც ამ დროისათვის ძალადაკარგულია. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის ბრძანება №108-ით, 2021 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვა წაწარმოები უნდა იყოს „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

3. ძირითადი რისკები:

ა(ა)იპ „სათნოების სახლის" შემოწმების შედეგად აღმოჩნდა ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

4. რეკომენდაციები:

1. დაიწეროს ბრძანებები თანამშრომლების შვებულებიდან სამსახურში დაბრუნების შესახებ.
2. მოხდეს ა(ა)იპ „სათნოების სახლი"-ს წესდების განახლება.
3. ბენეფიციარებისათვის ერთჯერადი დახმარებების გაცემა მოხდეს მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოხდეს დოკუმენტაციის ატვირთვა კანონის შესაბამისად.
5. შესრულებულ ხელშეკრულებებს მიენიჭოს კანონით დადგენილი სტატუსი.
6. საწვავის ჩამოწერა მოხდეს ნორმით, გარბენილი კილომეტრების შესაბამისად.
7. მოხდეს ბუღალტრული აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის ბრძანება №108-ით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული

აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

8. გასწორებული იქნას შემოწმების შედეგად კვების პროდუქტებზე გამოვლენილი სხვაობები ფაქტიურ რაოდენობასა და ბუღალტერიაში არსებულ ნაშთებს შორის.

შიდა აუდიტის მიერ შემოწმებულ პერიოდში ა(ა)იპ „სათნოების სახლ"-ში განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები არიან: ყოფილი დირექტორი [redacted] 2019 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 იანვრამდე, ბუღალტერი [redacted] შესყიდვების სპეციალისტი [redacted]

შენიშვნა: ა(ა)იპ „სათნოების სახლ"-ში კვების პროდუქტების ნაშთების გადამოწმება მოხდა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში. აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი პირები არიან გაერთიანების დირექტორი [redacted] და სამეურნეო უზრუნველყოფის სპეციალისტი [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:	[redacted]	[redacted]
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:	[redacted]	[redacted]
შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:	[redacted]	[redacted]